



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №113

2013 წლის 1 აგვისტო

ქ. ქობულეთი

ზომამცირე მცურავი საშუალებების სარგებლობასთან დაკავშირებით

გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ პერიოდში საზაფხულო სეზონის განმავლობაში საკმაოდ მომრავლებულია ზღვაზე სასეირნო სხვადასხვა მცირე ზომის მექანიკური მცურავი საშუალებები. ამასთან დღეისათვის არ არის მოწესრიგებული ასეთი მცურავი საშუალებებით სარგებლობის საკითხები, რის გამოც მათი მოუწესრიგებელი, თავაშვებული, უსისტემო მოძრაობა აშკარად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას, არღვევს ზღვაში მობანავე ადამიანების მყუდროებას და არ აძლევს ადგილობრივ მოსახლეობას და ამ მიზნით ქალაქ ქობულეთში ჩამოსულ უამრავ სტუმარსა და ტურისტს ნორმალური, უსაფრთხო და თავისუფალი დასვენების შესაძლებლობას, რაც მთლიანობაში უარყოფითად აისახება საზღვაო ტურიზმის განვითარების საკითხზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საზღვაო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის, შიდა საზღვაო წყლებში ზომამცირე მცურავი საშუალებების სარგებლობის რეგულირების, პლაჟებსა და საბანაო ადგილებში საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 47-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად:

1. ზომამცირე მცურავი საშუალებების (კატარღა, მოტონავი, ჰიდროციკლი, წყლის ველოსიპედი-კატამარანი, ნავი და სხვა, შემდგომში-მცურავი საშუალებები) მიმართ დადგინდეს შემდგომი მოთხოვნები;

ა) მცურავი საშუალებების დგომა (პარკირება) მგზავრთა აყვანის მიზნით და ასეთი საშუალებებით მგზავრის აყვანა დასაშვებია მხოლოდ ამისათვის გამოყოფილი სპეციალურ ადგილებში თანახმად დანართისა:

ბ) მცურავი საშუალებებით ზღვაში შესვლა დასაშვებია მხოლოდ სპეციალურად მოწოდებული კორიდორის გავლით:

გ) მცურავი საშუალებების ზღვაში თავისუფალი მოძრაობა, გადაადგილება, სეირნობა დასაშვებია მხოლოდ ზღვის სანაპიროდან არანაკლებ 80 -100 მეტრთან (სპეციალური ნიშნების) იქით, ზღვის სიღრმეში.

2. აკრძალულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით მცურავი საშუალებებით სარგებლობა.

3. ს.ს.ი.პ. -აჭარის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს ეთხოვოს:

ა) ამ განკარგულებით გათვალისწინებული მცურავი საშუალებების დგომის (პარკირების), გასასვლელი კორიდორისა და გადასაადგილებელ (სასეირნო) ტერიტორიაზე შესაბამისი თვალსაჩინო ნიშნების მოწოდება-განთავსება;

ბ) ამ განკარგულებით გათვალისწინებული საკითხები სწავლება, კონსულტირება, პროპაგანდა, პოპულარიზაცია და მეთოდური ხელმძღვანელობა;

4. განკარგულების შესრულებაზე კონტროლი, განკარგულების შესრულებასთან დაკავშირებული, მის კომპეტენციაში შემავალი სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი დონისძიებების განხორციელება ეთხოვოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ოპერაციების მართვის მთავარი სამმართველოს მე-II სამმართველოს (ქ.ბათუმი).

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 26 ივნისის №111 განკარგულება.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის სასამართლოში. (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის №-30).

7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ე. ბაგრატიონი